პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975 შაბათი 11 ოქტომბერი № 239 (16365) ფასი 2 კაპ. 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის! იბრძოლეთ 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის!

XXV ყრილობის შესახვედრად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავს!

2. გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას, — სამყაროს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქას!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!

4. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის! იბრძოლეთ 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის!

5. კომუნისტებო! იყავით სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ავანგარდში, მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!

6. დიდება კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

7. გაუმარჯოს საბჭოების ქვეყნის გმირ მუშათა კლასს — წამყვან ძალას კომუნიზმის მშენებლობაში!

8. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

9. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

10. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა!

11. გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიად მონაპოვარს!

12. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

13. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ნამდვილად სახალხო ხელისუფლების ორგანოებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური დემოკრატია, ფართოვდებოდეს მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში!

14. საბჭოთა პროფკავშირებო! გაუმჯობესეთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და გაზარდეთ მისი ქმედითობა, ამრავლეთ კომუნისტური შრომის დამკვრელთა რიგები! უფრო ფართოდ ჩაებით მშრომელები წარმოების მართვაში!

15. ჭაბუკებო და ქალიშვილებო! ბეჯითად დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს! ამრავლეთ საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები! სკკპ XXV ყრილობა აღნიშნეთ დამკვრელური შრომითა და ფრიადზე სწავლით!

16. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

17. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს, შრომითი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილეებს! პატივი და დიდება დედას, რომელიც თავისი გულის მთელ სითბოს ახმარს ბავშვების აღზრდას!

18. საბჭოთა მეომრებო! დაუცხრომლად აუმჯობესეთ თქვენი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, ფხიზლად და საიმედოდ დაიცავით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა!

გაუმარჯოს სსრ კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებს!

19. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ სოციალისტური ეკონომიკის — სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების საფუძვლის შემდგომი აღმავლობისათვის!

20. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ეცადეთ გამოუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

21. პატივი და დიდება შრომითს კოლექტივებს, წარმოების მოწინავეებს, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის დავალებანი!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ მუშაობის მაღალ ხარისხს, უფრო სრულად გამოიყენეთ შიდასაწარმოო რეზერვები! განამტკიცეთ დისციპლინა და ორგანიზებულობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში!

23. მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის! მიაღწიეთ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საწარმოო სიმძლავრეთა სწრაფ ათვისებასა და უკეთ გამოყენებას!

უფრო ფართო გზა ახალ ტექნიკას და პროგრესულ ტექნოლოგიას!

24. მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება და განაახლეთ მისი ასორტიმენტი, გაუმჯობესეთ ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

25. მშენებლობის მუშაკებო! აამაღლეთ კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობა, დროულად აამოქმედეთ ახალი ობიექტები, გააუმჯობესეთ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და შეამცირეთ მისი ღირებულება!

26. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის მომსახურების ხარისხი, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებები!

27. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ამრავლეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი აღმავლობისათვის ბრძოლის ღონისძიებები!

28. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! ბეჯითად იშრომეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად! იბრძოლეთ პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით მოწყობისა და საგაზაფხულო თესვის სანიმშოდ მომზადებისათვის, 1976 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის!

29. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მტკიცედ იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, განავითარეთ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეოთაშორისო კოოპერაციის ბაზაზე! ყაირათიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, შრომითი და მატერიალური რესურსები!

30. მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებო! განამტკიცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა! დაჩქარეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი კომპლექსური მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის, მიწების ფართო მელიორაციის ტემპები!

31. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებო! უფრო აქტიურად განავითარეთ და სრულყავით მომსახურების სფერო, დანერგეთ მუშაობის პროგრესული ფორმები და მეთოდები! იბრძოლეთ საბჭოთა ადამიანების მომსახურების მაღალი კულტურისათვის!

32. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განაგრძეთ და განავითარეთ სტახანოვური მოძრაობის სახელოვანი ტრადიციები, იბრძოლეთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის! წმიდად დაიცავით და ამრავლეთ საზოგადოებრივი საკუთრება! დაზოგეთ ნედლეული, სათბობი, ელექტროენერგია, ლითონი და სხვა მასალები!

33. სახალხო მეურნეობის მუშაკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ეკონომიურ ცოდნას, მეურნეობის გაძღოლისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები!

34. საბჭოთა მეცნიერებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! რაციონალიზატორებო და გამომგონებლებო! ყოველნაირად დაჩქარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აამაღლეთ სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ნამუშევართა დონე!

დიდება საბჭოთა მეცნიერებას, რომელსაც ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში!

35. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, სრულყავით მხატვრული ოსტატობა, თქვენი ნიჭი მოახმარეთ კომუნიზმის აქტიური მშენებლების აღზრდას!

36. სახალხო განათლების მუშაკებო! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სწავლების ხარისხი, სრულყავით სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადება! მოზარდი თაობა აღზარდეთ კომუნიზმის იდეალების, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

37. ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, უფრო აქტიურად დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

38. რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! ახალგაზრდობას გაუზიარეთ ცოდნა და გამოცდილება, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში!

39. პიონერებო და მოსწავლეებო! მხურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო, კარგად ისწავლეთ, დაეუფლეთ შრომითს ჩვევებს! ემზადეთ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლები!

40. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მტკიცე მებრძოლებს!

41. დაე მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე!

42. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

43. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა — საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიული მონაპოვარი, გადამწყვეტი ძალა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯი!

44. გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ერთიანობასა და შეკავშირებას!

მაღლა ატარეთ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშა!

45. ძმური სალამი გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც მოიპოვა ისტორიული გამარჯვება — მთლიანად გაათავისუფლა ქვეყანა, რომელიც გულდაჯერებით მიდის ეროვნული ერთიანობის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გზით!

მხურვალე სალამი ლაოსელ და კამბოჯელ პატრიოტებს, რომლებმაც დაიცვეს თავიანთი ქვეყნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის მეგობრობას ინდოჩინეთის ხალხებთან!

46. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს — ყველა მშრომელის უფლებებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის თავდადებულ მებრძოლს!

47. მხურვალე სალამი ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიალიზმის ბორკილები, იბრძვიან თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

48. მხურვალე სალამი იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს!

49. მხურვალე სალამი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეებს — მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობისათვის აქტიურ მებრძოლებს!

50. დაე მტკიცდებოდეს რევოლუციური ძალების — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მძლავრი კავშირი!

51. ძმური სალამი ხალხთა თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლებს, რომლებიც იტანჯებიან საპატიმროებსა და ფაშისტურ დილეგებში!

თავისუფლება რეაქციის ტყვეებს!

52. ძმური სალამი ჩილეს მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან რეაქციულ-ფაშისტური ძალების წინააღმდეგ!

მსოფლიოს ხალხებო! განამტკიცეთ სოლიდარობა ჩილელ პატრიოტებთან!

თავისუფლება ლუის კორვალანს!

თავისუფლება ფაშისტური ხუნტის ყველა ტყვეს!

53. მსოფლიოს ხალხებო! ამრავლეთ მეცადინეობა ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, ისრაელის აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბული ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

54. ევროპის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ სრულიად ევროპის თანმირის მიერ მიღებული პრინციპები და შეთანხმებანი მთლიანად განხორციელდეს!

55. მხურვალე სალამი კვიპროსელ ხალხს, რომელიც თავდადებით იცავს დამოუკიდებლობას იმპერიალისტური ხელყოფისაგან!

მსოფლიოს ხალხებო! მოითხოვეთ კვიპროსის ტერიტორიიდან უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანა, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა!

56. მხურვალე სალამი პორტუგალიის მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან რეაქციის ძალების წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარებისათვის!

57. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ მშვიდობის განმტკიცებისათვის, სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, აზიაში კოლექტიური უშიშროებისათვის!

58. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება შეუქცევადი გახდეს, მიაღწიეთ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები გადაიქცეს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმად! ამხილეთ აგრესიის, რევანშიზმისა და რეაქციის — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტრების ხრიკები!

59. მსოფლიოს ხალხებო! მიაღწიეთ, რომ ძალის გამოუყენებლობა კანონი გახდეს საერთაშორისო ურთიერთობაში, ატომური იარაღი კი სამუდამოდ აიკრძალოს! იბრძოლეთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის!

60. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

დაე იმარჯვებდნენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის იდეები.

61. დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

62. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ბილისის კამოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ ბევრი მოწინავე მუშაკია. აი ზოგიერთი მათგანი: მძახველი მზევინარ გობრონიძე საწარმოში მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებიდან საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. სამი წლის მუშაობის მანძილზე დაწინაურდა, გახდა კომუნისტი. მასზე ერთი წლით გვიან მოვიდა ნიგოზეთელი (ქიაოურის რაიონი) ელეონორა იაკობიძე. შრომას იგი წარმატებით ახამებს საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის სადამოს განყოფილებაზე სწავლასთან. თბილისის № 24 პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული დარეჯან კუპრაშვილი სოფელ არგვეთიდან (საჩხერის რაიონი) ჩამოვიდა. მუშაობის რვა წლის სტაჟი აქვს მენსხოელ (დუშეთის რაიონი) ციცინო ჭავთარაძეს.

სურათზე: მოწინავე წარმოების მუშაკები (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. გობრონიძე, ე. იაკობიძე, დ. კუპრაშვილი და ც. ჭავთარაძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

სვერდლოვსკი, 10 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სვერდლოვსკიდან ყაზანს გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ერიხ ჰონეკერი.

სვერდლოვსკის აეროპორტში სტუმრები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. პ. რიაბოვმა, სვერდლოვსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. გ. ბორისოვმა, ოლქისა და ქალაქის სხვა ხელმძღვანელებმა, მშრომელთა წარმომადგენლებმა.

ყაზანი, 10 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და **რუსეთის სფსრ სახელმწიფო ალ**მებით მორთულ აეროპორტში, სალატიო სტუმრებს შეხვდნენ სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ფ. ი. პანინი, თათრეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. გ. ბატიევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. უსმანოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

დელეგაციის წევრებს გულითადად მიესალმნენ საბჭოთა თათრეთის მშრომელთა წარმომადგენლები, პიონერებმა მიართვეს თაიგულები. ქალაქის მაგისტრალები და მოედნები, რომლებზეც ავტომანქანების კორტეჟი მიემართებოდა, მორთული იყო მისასალმებელი ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით.

პარტიის საოლქო კომიტეტში გაიმართა დელეგაციის წევრთა შეხვედრა რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებთან.

გულითადობის ვითარებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. სოლომენცევმა 10 ოქტომბერს მიიღო ჩვენს ქვეყანაში მყოფი იაპონიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან იაპონიის კულტურული ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი ს. მაცუმაე.

საუბარმა გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სოციალისტური ქვეყნების ორდენები — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას

9 ოქტომბერს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოები მსოფლიო მეცნიერებაში საბჭოთა მეცნიერთა წვლილისათვის, საბჭოთა მეცნიერების დიდი ჰუმანისტური მისიის გამო და 250 წლის იუბილესთან დაკავშირებით. (საკდესი).

XXV ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისთვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. ამ დიდ პოლიტიკურ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის საბრძოლო ამოცანები მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობს აღნიშნული დადგენილებით, განახილა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ამოცანები, ორმად და კრიტიკულად გააანალიზა განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები, დასახა და ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას, მატერიალური და მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმის უფრო სრულად გამოყენებას.

ამ დღეებში შემდგარ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მორიგ სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, პროდუქციის რეალიზაციის 8 თვის გეგმა ვადამდე, 25 აგვისტოსათვის შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 124 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,3 პროცენტი შეადგინა. როგორც წესი, პროდუქციის საღეღამისო წარმოების მოცულობა ყოველთვიურად თანმიმდევრულად იზრდება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 8,2 პროცენტით გიიზარდა. ამ მაჩვენებლის ზრდის ხარჯზე მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 81,6 პროცენტი. გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის საწარმოო გაერთიანებების: „ელექტროაპარატისა“ და „საქმოლიმენტარის“, ორჯონიკიძისა და პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ქიმკომბინატის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, „საქქვანახშირის“ კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

წარმატებით სრულდება რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი: წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 134 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია, რაც წლიური ვალდებულების 67 პროცენტს შეადგენს.

ინიციატივა ფრთა უნდა შეისხას

ფართოდ გავაჩაღოთ წინასაყრილოგო შეჯიბრება

მასთან, როგორც კომისიის სხდომაზე აღინიშნა, მთელი რიგი საწარმოები და დარგები ჩამორჩნენ, ვერ ასრულებენ გეგმებს. ზოგიერთი შემთხვევაში ჩამორჩენას სუბიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამის მიზეზი ის არის, რომ უნარიანად და ეფექტურად ვერ ხელმძღვანელობენ საწარმოებს, სრულად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს. აქვთ მთელი რიგი სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებანიც, რომელთა აღმოფხვრა თვით საწარმოებსა და შესაბამის სამინისტროებზეა დამოკიდებული. სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გეგმების შემცირების მავნე პრაქტიკას, გაკრიტიკებულ იქნენ ის სამინისტროები, უწყებანი და საწარმოები, რომლებიც უხარისხო პროდუქციას უშვებენ. ეჭვი არ არის, რომ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომის მიერ დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას. წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

დიდ მუშაობას ეწევიან სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაშლისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ორგანოები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ყურადღება აქვს მიპყრობილი წარმოების ნოვატორთა ინიციატივათა და თანამონაზეთა ფართო პოპულარიზაციას, პროპაგანდასა და დანერგვას. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი შუშაობაა გაწეული. როგორც ცნობილია, თბილისის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ფოლად-თუჯასამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადამ, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. კურტანიძის ხელმძღვანელობით იკისრა მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი იმ ამოცანების საფუძველზე, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სტატყვაში დასახა მეათე ხუთწლედში ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და მუშაობის ეფექტიანობის მკვეთრად გადიდებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს გ. კურტანიძის ბრიგადის თაოსნობას, როგორც თვისებრივად ახალ მოძრაობას სოციალისტურ შეჯიბრების საჭაროობის ყველა საშუალება, მოეწყოს სტენდები, შედგეს დიაგრამები, პლაკატები, სქემები, დაიდგას „შეჯიბრების ფანჯარა“, გამოიცეს მრავალტირაჟიანი კედლის გაზეთები, ელვა-ფურცლები, სხვადასხვა ინსტრუქციები და ა. შ., რომლებსაც უნარიანად უნდა იყენებდნენ ჩვენი აგიტატორები და პოლიტინფორმატორები. ამ საქმიანობაში დადებითი როლის შესრულება შეუძლიათ ნოვატორთა საბჭოებს, შემოქმედებითს ბრიგადებს, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობას და ა. შ. სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდებული არიან განაზორციელონ ეფექტური ღონისძიებანი იმისათვის, რომ თაოსნობანი და ინიციატივები ინერგებოდეს კეთილსინდისიერ მორბებში, შეიქმნას საჭირო საფუძველი და ნიადაგი მათი გავრცელებისა და დანერგვისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ყველა ფორმა ფართოდ გამოიყენონ მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების დასანერგავად. ამ მხრივ უფრო ეფექტური უნდა გავხადოთ შეჯიბრების ისეთი ფორმები და მოწინავე საწარმოო გამოცდილების გავრცელების თვალსაჩინო, ქმედითი საშუალებანი, როგორიც არის კონკურსები: — „პროფესიაში საუკეთესო“, „ხარისხის ფრიადოსანი“, „ოსტატობაში გამარჯვებული“, „ტექნიკას სრულად დაუფლებული“ და სხვ.

ძალზე ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ამ მხრივ რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ გაზეთებს, ტელევიზიას და რადიოს. მათ კონკრეტულად, დამაჯერებლად, სისტემატურად უნდა გააშუქონ გ. კურტანიძის ბრიგადისა და ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ინიციატივათა უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, ფართოდ გაუხსნან გზა მათს გავრცელებასა და დანერგვას. ამასთანავე არ უნდა მოერიდონ და მწვავედ, პრინციპულად გააკრიტიკონ ზერელობის, კონსერვატიზმის, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების თვითეული შემთხვევა.

ახლა, როცა თვითეული პარტიული ორგანიზაცია და ყველა მშრომელი იღგწის იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რათა ღირსეულად შეხვდეს და თავისი წვლილი შეიტანოს წინასაყრილობო შეჯიბრებაში, არ არის იმაზე უფრო პასუხსაგები, სპატიო ამოცანა, ვიდრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულება. ამას კი ხელი უნდა შეუწყოს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მისი ორგანიზაციის სრულყოფამ და ქმედითობამ.

გ. ხომერიკი,

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მდივანი.

ეს სიახლეა

ფერმაში ორი ქალია...

☐ ეს ტონელი მწველავის ლეიდა ჰეიპსის მეთოდით

☐ ორი მწველავი 200 ძროხას წველის

ესტონელმა მწველავმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლეიდა ჰეიპსმა, რომელიც მექანიზებულ თერმაში 100 ძროხას წველის, თვითეულ ძროხაზე 5.200 კილოგრამი რძე მიიღო და ხუთწლედი ოთხ წელიწადში დიდი გადამეტებით შესრულა.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავმა, სოციალისტური შრომის გმირმა ზაირა ალხანიშვილმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა კოლეგას: ძვირფასო ლეიდა, გულითადად გილოცავთ დიდ შრომითს წარმატებებს. გთხოვთ გვესტუმროთ საქართველოში. სურვილი მაქვს შევეჯიბროთ ერთმანეთს.

შეჯიბრებას მაშინ აქვს ფასი, როცა მუშაობა თანაბარ პირობებში ხდება. ლეიდა ჰეიპსი, როგორც ვთქვით, ას ძროხას წველის მექანიზებულ ფერმაში. აქ ძროხებს მექანიზატორი მანქანებით უთრგებს საკვებს, მეცხოველე-მექანიზატორი წმენდს მანქანებს, საძროხეს ასუფთავებს, მწველავი კი მხოლოდ საწველ აპარატებს ასუფთავებს, წმენდს და უვლის ძროხებს. ჯაფარიძის კოლმეურნეობაში კი ასე არ ხდებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეობამ გაბედული ნაბიჯი გადადგა და შერაჯში. სადაც ძროხათადად მაღალპროდუქტიულ ლ ი შავჭრელი ჯიშის ძროხები ჰყავთ, მთაწყო მექანიზებული საძროხე, გიზიარეს ესტონელთა გამოცდილება, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა და ორას სულ ძროხას მიუჩინეს ორი მწველავი.

ყველა მღელვარებით მოელოდა ახალი საქმის დაწყებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ ძროხათადი სამუშაოები მექანიზებულია — დაწყებული საკვების დარიგებით და დამთავრებული ნაკელის გატანით. ბრიგადას სპეციალური საკვებშემამზადებელი საამქრო ემსახურება. შემზადებული ეიტამინოვანი საკვები ტრაქტორით პირდაპირ საკვებურებში იყრება, ირთვება ნაკელის გამტანი ტრანსპორტიორი და დასუფთავებულ სადგომში მოციმონიდან მოსულ პირუტყვს აბამენ. ორასი სული მეწველი ძროხა ოთხ ჯგუფად იყოს დაყოფილი; თვითეულ ჯგუფში მოწველილი რძე ავტომატურად ცალკე სასწორზე დადებულ ცისტერნაში ისხმება, აქედან კი სტერილიზებულ სამაცივრო განყოფილებაში გადადის. მწველავს ერთი რამ რჩება — დაბმულ ძროხებს მოაგროს საწველი აპარეგატი, რომელიც რძის პნევმატურ კიდულ მილსადენზეა შეერთებული; მეცხოველე მექანიზატორი გურამ ბოსტოღანაშვილი რთავს აგრეგატს და პროცესი იწყება.

ყველას აინტერესებდა, თუ როგორ წარმართავდა პირველი წველა. მართალია, პირუტყვი მიჩვეულია საწველ აგრეგატს, მაგრამ იდრე ხომ მათ ათი მწველავი გმსახურებოდა? პირუტყვი მიჩვეული იყო თავის მომვლელს, სანამ ახალს შეეჩვეოდეს, პროდუქტიულობა იკლებს.

ორას ძროხასთან ორი მწველავი რჩება, პირუტყვი დღეში სამჯერ უნდა მოიწველოს. თვითეულ ძროხასთან მწველავი დღეში თითქმის ექვსჯერ უნდა მივიდეს. შემდეგ საწველი აგრეგატების დასუფთავება, პირუტყვის დაპუტრება...

მწველავებად ამ საქმის ინიციატორები, სოციალისტური შრომის გმირი ზაირა ალხანიშვილი და კომკავშირელი ანა ალუხანოვა ვუვლი, ეწმენდა ძროხებს და შემდეგ ეწველნ... მკვეთავის მოვალეობაა მისცეს პირუტყვს საკვები, დასუფთაოს საძროხე, ხოლო მეძროხე-მექანიზატორს მოვალეობაა სპეციალურ ნაკელის გატანა, აგრეგატების წესრიგში მოყვანა, ძროხების დაბმა-აშვება და დასუფთავება.

ჯაფარიძელთა მექანიზებული საძროხე პატარა ქარხანას მოგვაგონებს. სამუშაო პროცესი ისეა აწყობილი, რომ აქ არავინ ზარმაცობს. ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის, — ასეთია მათი სამუშაო გრაფიკის შინაარსი.

ბრიგადა ძირითადად კომკავშირელი ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტმა, ბრიგადირმა გურამ გოგილაშვილმა გვითხრა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ და არა თუ გეგმა, არამედ ნაკისრი ვალდებულებაც ვადამდე დიდი გადამეტებით შეასრულონ, სკკპ XXV ყრილობას სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ.

უ. წყარუაშვილი,

ვლ. მჟელიშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

ნიზებულ ფერმაში ორი მწველავი — ეს ორასა სულ ძროხას წველენ.

გავესაუბრეთ მწველავებს ზაირა ალხანიშვილს და ნანა არაბულს. აი, რა თქვა ზაირამ:

— მე პირობა დავდე, რომ ასი ძროხა მომეწველა მექანიზებულ ფერმაში, ამას ვასრულებ და შენ? [illegible] ასეთივეს, მე [illegible] ... ბებს ვუ- [illegible] ... ...

უ ხ ვ ი მოსავლისათვის

უფრო ფართოდ გავშალოთ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ თავიანთ ძალღონეს იხმარენ უხვი, მყარი მოსავლის მიღებას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას. წარმოებს აგრეთვე დიდი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ის, რაც გაკეთდა, საკმარისი არ არის. ამის შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების თავისებური შემოტანა-გატანის გახშირებული შემთხვევების გამო გაბრცელდა მავნებლები და დაავადებები, — თეთრქუდა, ბრუცელოზი, აღმოსავლური ნაყოფჭამია, მდელოს ფარვანა და განსაკუთრებით კოლორადოს ხოჭო, რომლებიც დიდ ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას. ამ დაავადებებისა და მავნებლების გავრცელების შედეგად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჰკარგავენ ათასობით ტონა კარტოფილს, პოსტნეულს, ყურძენს, ციტრუსებს, ვაშლს, თამბაქოს, ბაღჩეულ და ეთერზეთოვან კულტურებს.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში ხორცეულლდება კარდინალური ღონისძიებები, რომლებიც დადებით ეფექტს იძლევა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა ოპერატიული გადაჭრისათვის შეიქმნა შტაბი.

დიდი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხილის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქციის უკანონო გატანის აღსაკვეთად. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლების ხუცუბნისა და ტყეთაევის კოლმეურნეთა ინიციატივა, რომლებმაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს ამათ, ვინც ირღვევს მშრომელის პატიოსან სახელს. ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად შემცირდა საქართველოს ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის შემთხვევები.

სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ შესაბამისი ორგანოების ნებართვისა და საკარანტინო სერთიფიკატების გარეშე სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა-გატანის ცდების აღმოფხვრის მიეძღვნა თათბირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

თათბირზე გამოვიდნენ სოფლის მეურნეობის, დაშზადების, კავშირგაბმულობის მინისტრები ნ. ა. ჭითანავა, შ. ი. ჭანუყვაძე, ზ. ა. ბზეიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ი. ზაფარი, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გ. თოგუნარაშვილი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. გ. ხონელიძე, მეცნარეთა დაცვის რესპუბლიკური სადგურების უფროსი ვ. ბ. ქვარცხავა, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. რ. ჩიტალაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ვ. ეორდოსანიძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი რ. ს. თუშურაშვილი და სხვები.

აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების და მავნებლების ლიკვიდაციისათვის პასუხისმგებელი ორგანიზაციებმა, უწყებებმა და დაწესებულებებმა ჯერ კიდევ ვერ მოაგვარეს ზუსტი, მიზანდასახული მუშაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები „ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის საკარანტინო მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ და „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის აკრძალვის შესახებ“ მთლიანად არ სრულდება, იშვიათი არ არის პროდუქტების შემოტანა-გატანის დადგენილი წესების უხეში დარღვევის შემთხვევები. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციის მუშაკებმა წლეულს ცხრა თვის მანძილზე დააკავეს და თბილისის ბაზრებს გადასცეს, სახელმწიფო შემსყიდველ პუნქტებს ჩაბარეს 180 ტონა ციტრუსი, 270 ტონა ხილი, 100 ტონა ბოსტნეული და ა. შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტები ხშირად გააქვთ საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმიანისტროების, „საქსოფლტექნიკისა“ და სხვა ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანის დადგენილი წესების დაროვევები მოხდა აგრეთვე რკინიგზაზეც.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა უფრო გადამწყვეტი და მტკიცე ბრძოლა სპეკულაციისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატაცების წინააღმდეგ. მარტო ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები კი არა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობაც, კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რაზმელები აქტიურად უნდა ებრძოდნენ ამგვარ სამართალდარღვევებს. უნდა გავაძლიეროთ აგრეთვე სახალხო კონტროლორთა საგუშაგოების მუშაობა.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა აგრეთვე, რომ ბაზრების დირექტორები, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოფლის მეურნეობის პროდუქციით მოსახლეობის მომარაგებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევებისათვის.

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები პირუტყვის დაავადებათა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების გადაჭრით ლიკვიდაციისათვის. რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების უკანონო შემოტანა-გატანისადმი კონტროლის ზუსტად დაცვისათვის. ამ საქმეში პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

საავტომობილო ტრანსპორტის, შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, უწყებებმა, რომლებსაც აქვთ სატრანსპორტო საშუალებები, რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციამ, „საქსოფლტექნიკამ“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ, საქართველოს შავი ზღვის სანაოსნომ უმკაცრესი კონტროლი უნდა დაიწესონ და აღკვეთონ რესპუბლიკაში და რესპუბლიკიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანა-გატანის ყოველგვარი ცდა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ბ. გელდიაშვილმა.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამ დღეებში ლ. ნ. სმირნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

განიხილეს სასამართლოთა მიერ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის საკითხი. პლენუმმა სასამართლოებს ამ საკითხზე მისცა ახსნა-განმარტებანი მათი საქმიანობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით. კერძოდ, სასამართლოებს ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ სამთვრალეში დანაშაულის ჩადენის თვითეული შემთხვევის დროს დამნაშავისათვის სასჯელის ღონისძიების დანიშვნისას სიმთვრალე მიიჩნიონ პასუხისმგებლობის დამძიმებელ გარემოებად. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყოველმხრივ და სრულად გამოძიდეს ლოთობაში აოსარულწლოვანთა ჩართვის საქმეები, აგრეთვე შინაური წესით არყისა და სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდის საქმეები.

პლენუმმა აღნიშნა, თუ რა დიდ როლს ასრულებენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კანონის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ სასამართლოთა მიერ ალკოჰოლიზმისაგან იძულებითი მკურნალობის დანიშვნას და იმ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვას, რომლებიც უხამოდ სიამენ სპირტიან სასმელებს და მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ თავიანთ ოჯახს.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ნარკოტიკულ, ძლიერმოქმედ და მხამიან ნივთიერებათა დატაცების, ტარანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის საკითხი. აღნიშნული დანაშაულობანი სსრ კავშირში არ არის ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მათი დიდი საზოგადოებრივი საშიშროება და ასეთი დანაშაულის ჩადენისათვის კანონით დადგენილი მკაცრი სანქციები მოითხოვენ, რომ სასამართლოები დღენიადაგ უთმობდნენ ყურადღებას ამ კატეგორიის საქმეთა განხილას. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაადგინონ და დასჯონ დანაშაულის ყველა მონაწილე, განსაკუთრებით ის პირნი, რომლებიც ნარკოტიკებს ავრცელებენ, გამოარკვიონ მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე გამოავლინონ ნარკოტიკულ წიგთიერებათა შეძენის წყაროები.

პლენუმმა მოისმინა მოხსენება სასამართლოთა მიერ იმ კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს უთანხმოებანი, რაც წამოიჭრება ხოლმე. როცა კოლმეურნეობები და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფო კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ერთმანეთს შორის დებენ ხელშეკრულებებს.

პლენუმმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. ი. ბუშუევი დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, აგრეთვე განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო სასამართლო გადაწყვეტილებათა შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო და იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი. (საკდესი).

10 ოქტომბერი

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის საგანგებო ინფორმაციები

სიძნელეები ქვლავ რჩება

რომი, (საკდესი). იტალიის მთავრობამ იტალიის პარლამენტის სენატის განსახილველად წარადგინა 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ამ დოკუმენტის თანახმად, ბიუჯეტის დეფიციტი მომავალ წელს მიაღწევს რეკორდულ ციფრს 11.515 მილიარდ ლირას — 4.343 მილიარდით მეტს, ვიდრე მიმდინარე წელს, ეროვნული შემოსავალი გაიზრდება მხოლოდ 2 პროცენტით, გაგრძელდება ფასების ზრდა. წელს განმავლობაში ფასები გაიზრდება 10 პროცენტით.

იმოწმებენ რა ყველა დასავლეთი ქვეყნისათვის საერთო ეკონომიური და სავალუტო-ფინანსური ხასიათის სიძნელეებს, ბიუჯეტის პროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეროვნული ეკონომიკის გამოყვანა კრიზისული მდგომარეობიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანაში შემცირდება მოხმარება და მშრომელნი უარს იტყვიან ხელფასის მომატებაზე.

როცა სენატორებს ბიუჯეტის პროექტი წარუდგინეს, ხაზინის მინისტრმა ე. კოლომბომ და ბიუჯეტისა და ეკონომიური პროგრამირების მინისტრმა ჯ. ანდრეოტამ აღიარეს, რომ 1976 წელი ისევე ძნელი იქნება იტალიის ეკონომიკისათვის, როგორიც 1975 წელი იყო.

დაპატიმრებანი ესპანეთში

მადრიდი, (საკდესი). ბოლო დღეების მანძილზე ესპანეთის პოლიციამ სხვადასხვა ქალაქში დაუპატიმრა რეჟიმის მოწინააღმდეგენი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ხელისუფალთა გაძლიერებული რეპრესიებისა და ხუთი ანტიფაშისტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

დემონსტრაციის დროს ბილბაოში პოლიციამ დაუპატიმრა 28 კაცი „ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის“.

16 ანტიფაშისტი დაუპატიმრეს ვალენსიაში. ბარსელონაში პოლიციელებმა ავტომატის ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს, დაჭოეცეს 4 და დაჭრეს 2 კაცი.

ფრანკისტი ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგაც, რომლებიც მკაცრად გმობენ ქვეყანაში აღვირახსნილ ტეროროს. მადრიდში საპყრობილეში ჩასვეს კიდევ სამი მღვდელი. მათ ბრალად ედებათ ის, რომ პროტესტი გაუცხადეს ხუთი სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანის წინააღმდეგ.

ეროვნული დღე

გამოხმაურება

პროგრესისა და მშვიდობის ინტერესებისათვის

უცხოეთის პრესა, საერთაშორისო სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა სწავლულების ნაყოფიერ საქმიანობას, რომლებიც ამ დღეებში აღნიშნავენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავს. მთელ მსოფლიოში ფართოდ განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც მან მოსკოვში წარმოთქვა სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

პრაღა. საბჭოთა მეცნიერება ემსახურება პროგრესს, ხაზს უსვამს „რუდე პრავო“. საზეიმო სხდომაზე თავის გამოსვლაში, წერს გაზეთი, ლ. ი. ბრეჟნევმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი შეიძლება წარმატებით აშენდეს მხოლოდ ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევების სრული გამოყენების საფუძველზე.

ბერლინი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, თუ რა მზარდ როლს ასრულებს საბჭოთა მეცნიერება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, წერს „ბერლინერ ცაიტუნგი“. მთელ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას მეცნიერები უქვემდებარებენ კომუნიზმის კეთილშობილური იდეალების განხორციელების ამოცანას, დასძენს გაზეთი.

ვარშავა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელოვანი ოქმილე, წერს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“, — მართლაც რომ დიდი მოვლენაა. მისი მნიშვნელობა უმეოლად უკავშირდება საბჭოთა მეცნიერების წარმატებებს, აკადემიის საერთაშორისო პრესტიჟს.

ულან-ბატორი. თავისი დაარსების დროიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ დიდი ისტორიული გზა განვლო, რომელიც აღნიშნულია მეცნიერულ-შემოქმედებითი ძიებით, ქვეყნის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების ყოვლმხრივი შესწავლით, სსრ კავშირის ხალხთა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით, განვლო მეცნიერების ბევრ დიდნიშვნელოვან დარგში მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი აღმოჩენების გზა, განაცხადა მონგოლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ნ. სოდნომმა. საბჭოთა მეცნიერების ზეიმი, დასძინა მან, ჩვენი ზეიმიც არის, ამ საიუბილეო დღეებში ჩემთვის სასიამოვნოა აღვნიშნო ის დიდი ძური დახმარება, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გაუწია და უწევს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკას მეცნიერული აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ეროვნული სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

ლონდონი. ინგლისის პროგრესული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით გამოეხმაურა ლ. ი. ბრეჟნევის ღრმა შინაარსიან სიტყვას. განაცხადა ცნობილმა მწერალმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო-ლენინური პრემიის ლაურეატმა ჯეიმს ოლდრიჯმა. შემდგომი მოქმედებისათვის მოწოდებად მიგვაჩნია ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ვითარებაში წარმატებით ვითარდება ურთიერთსელსაყრელი სამეცნიერო და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირი სხვა საზოგადოებრივი სისტემის ბევრ სახელმწიფოსთან. მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობა უაღრესად სასარგებლოა, და ენერგიულად უნდა განვითარდეს.

ბონი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იუბილეს აღნიშნავს მთელი სამეცნიერო სამყარო, თქვა ვუპერტალეს ფრიდრიხ ენგელსის სახელობის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა დოქტორმა რ. კუმპფმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესული მეცნიერები დიდი პატივისცემით ეკიდებიან სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის საქმიანობის თვალსაჩინო შედეგებს.

ნიუ-იორკი. მეზერვალები, რომელსაც ახლა საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა მიადწიეს, ადასტურებენ, თუ რა შეუძლია გააკეთოს მეცნიერებამ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც მას წარმართავს ხალხი და იყენებს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, განაცხადა კონკორდიუტის შტატის ბრიჯპორტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ჰოვარდ პარსონსმა.

ახალი „ომი“ საერთო გაზარში

ლონდონი, (საკდესი). ჯერ არ დამცხრალა „ღვინის ომი“ საფრანგეთსა და იტალიას შორის „საერთო ბაზარს“ შიგნით, რომ პორიზონტზე გამოჩნდა ახალი ხერეოზული დავის საფრთხე.

ევროპის ეკონომიური გაერთიანების სამბჭოს ამასწინანდელ სესიაზე ლუქსემბურგში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. კალაგენმა მოულოდნელად განუცხადა თავის კოლეგებს, რომ ენერგეტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარე წლის დამლევს მოეწყობა პარიზში, ლონდონს სურს დამოუკიდებლად იქნეს წარმოდგენილი. კალაგენმა უარყო იდეა, რომ კონფერენციაზე გაიგზავნოს ერთი წარმომადგენელი გაერთიანების წევრი ყველა ქვეყნისაგან.

ინგლისის განსაკუთრებული პოზიციის მიზეზი აშკარაა. ვარაუდობენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იგი იქნება ერთადერთი ქვეყანა „საერთო ბაზარში“, რომელსაც აღარ დასჭირდება ნაგთობის იმპორტი, და შესაძლებელია, მისი გატანაც კი შეძლოს. ხანგრძლივი სარგებლობის თვალსაზრისით ლონდონი არ არის დაინტერესებული „შავ ოქროზე“ ფასების მნიშვნელოვანი შემცირებით, მაშინ როცა ევროპის ეკონომიური გაერთიანების სხვა წევრებს — ნავთობის იმპორტიორებს — სწორედ ასეთი სურვილი აქვთ.

ლონდონის პრესა კომენტარს უძღვნის ინგლისის გადაწყვეტილებას, და წერს, რომ იგი მოწვობს კიდევ ერთი ღრმა ბზარის გაჩენას „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების ურთიერთობაში. გაზეთი „დეილი მეილის“ თქვითა, ინგლისის პარტნიორები „სანინლად აღშფოთებული არიან“. გაზეთი „ფინენშლ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ „ცხრა წევრის“ ერთიანი საგარეო პოლიტიკის შემუშავების პერსპექტივებს კიდევ ერთი დარტყმა აგემეს.

როგორც მიმომხილველნი აღნიშნავენ, ინგლისმა აშკარად აგრძნობინა, რომ თუ მასზე ზეგავლენას მოახდენენ მისი პოზიციის შეცვლის მიზნით, იგი გაწყვეტს თავის წარმომადგენლებს ევროპის გაერთიანებათა ენერგეტიკის კომიტეტიდან. ამის შედეგად ქვლავ დიდი ხნით გადაიდება ევროპის ეკონომიური გაერთიანების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება ენერგეტიკის საკითხებზე.

ემზადებიან კონფერენციისათვის

ბერლინი, (საკდესი). როგორც ადნა საგენტო ოუწყება, ბერლინში მესამე სხდომა დაიწყო ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის სარედაქციო კომისიის სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა ბუდაპეშტის მოსამზადებელ შეხვედრაზე.

სხდომაში მონაწილეობენ ბელგიის კომუნისტური პარტია, ბულგარეთის კომუნისტური პარტია, დანიის კომუნისტური პარტია, ირლანდიის კომუნისტური პარტია, გერმანელთა კომუნისტური პარტია, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, ფინეთის კომუნისტური პარტია, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია, იტალიის კომუნისტური პარტია, ისლანდიის კომუნისტთა კავშირის, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის, ნორვეგიის კომუნისტური პარტიის, ავსტრიის კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, მემარცხენე პარტია — შვეიცარიის კომუნისტების, შვეიცარიის შრომის პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, თურქეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის წარმომადგენლები.

უცხოეთის კრესიდან

წამლებს სცდიან... ლარიბებზე

მეცნიერული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰიპოკრატე ყოველთვის ცდილობდა ზედმეტი რაოდენობით არ გამოეყენებინა წამლები და დატოვა ანდერძი, რომელიც უკვე 2000 წელია საფუძვლად უდევს სამედიცინო პრაქტიკის მორალურ და ჰუმანურ მხარეს.

ამჟამად, როგორც ამას წინათ გამართულ მედიკოსთა ფორუმზე გამოირკვა, ჰიპოკრატეს XX საუკუნის მეტკვიდრეებს ეკვი ეპარებათ ამ ანდერძის სიმართლეში, რადგან ხდება ფაქტები, როცა ახალ პრეპარატებს ადამიანებზე სცდიან.

„სავარაუდოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული ექსპერიმენტების 80 პროცენტი, ხდება ღარიბებზე“, — განაცხადა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფორუმზე მეპარის კოლეჯის პროფესორმა ჰენრი უ. ფოსტერმა.

პროფესორმა „კატასტროფულ“ უწოდა ექსპერიმენტების ჩატარებას ადამიანებზე, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ, რომელ წამალს იღებენ.

„ნიუ ინგლენდ ჯორნალ ოფ მედიცინის“ რედაქტორმა ფრანც ჯ. ინგელფინგერმა განაცხადა, რომ ყველაზე ხშირად ექსპერიმენტების მსხვერპლნი ხდებიან ღარიბები, რომლებიც იძულებული არიან სამკურნალოდ საჭელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ. ინგლფინგერი ვარაუდობს, ღარიბებზე ექსპერიმენტების ჩატარება შეიძლება გამართლებული იყოს იმით, რომ მოსახლეობის ამ ფენაში უფრო მეტად არის გავრცელებული სხვადასხვა სახის დაავადებები.

მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის ამერიკის კავშირის წარმომადგენელმა ალვინ ბრონშტეინმა მწვავედ გააკრიტიკა გამოკვლევებისათვის პატიმართა გამოყენების პრაქტიკა. მისი მონაცემებით ამჟამად ფედერალური ციხეების თითქმის 20.000 ტუსაღზე აწარმოებენ ახალი პრეპარატების ბიოლოგიის ექსპერიმენტებს, რომლებსაც მიმართავენ წამლების წარმოებისა და სამედიცინო მოწყობილობის დამამზადებელი კომპანიები, იუწყება გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“.

ყველაზე ძვირი ქალაქი

სტოკჰოლმი მსოფლიოში ყველაზე ძვირი ქალაქია. შემდეგ მოდიან ტოკიო და ოსაკა. დასავლეთ ევროპაში სტოკჰოლმის შემდეგ ქალაქები ასეთნაირად არის დალაგებული: ოსლო, ჟენევა, ციურიხი, კოპენჰაგენი, პარიზი, ვენა, დიუსელდორფი, ჰაგა, მაინის ფრანკფურტი და ამსტერდამი. ეს მონაცემები მიიღეს სპეციალური გამოკვლევის შედეგად, რომელიც მოაწყო ამერიკის ასოციაციამ „ბიზნეს ინტერნეშნლმა“. გამოკვლევის მიზეზი იყო მსხვილი საერთაშორისო კომპანიების თხოვნა, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში ჰყავთ მომსახურე პერსონალი. გამოკვლევას საფუძვლად დაედო ოთხი ძირითადი ნიშანი — კვების პროდუქტებისა და ტანსაცმლის ღირებულება, ტრანსპორტისა და გართობის ხარჯები, იუწყება გაზეთი „ტრიბუნ დე ჟენევი“.

კარიკატურისტის კომენტარი

შუამავლის ხელი

ფ. ქოქიაშვილის ნახატი.

მაოისტები და ფრანკო

მადრიდი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა დარბაზობა, რომელიც ფრანკომ მოაწყო ხელისუფლების სათავეში მისი ჩადგომის მორიგი წლისთავის გამო. საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყოველისმომცველ კამპანიასთან დაკავშირებით, რომლითაც იგი პროტესტს აცხადებს ესპანეთში ხუთი პატრიოტის სიკვდილად დასჯის წინააღმდეგ, დარბაზობას ბოიკოტი გამოუცხადეს ბევრი უცხო სახელმწიფოს მადრიდში აკრედიტებულმა ელჩებმა და დესპანებმა. (ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის დასავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, საერთოდ გაიწვია თავისი ელჩები ესპანეთიდან).

ამ პირობებში აქ განსაკუთრებით აღინიშნავენ იმ ფაქტს, რომ დარბაზობაზე გამოცხადდა და ფრანკოს მიულოცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა, რომელიც დემონსტრაციულად დარჩა იქ ჩვეულებრივზე მეტ ხანს, რითაც ხაზი გაუსვა მაოისტების მეგობრულ გრძნობებს ესპანეთის ახლანდელი რეჟიმისადმი.

მდგომარეობა ლიბანში

კვლავ შეიარაღებული შეტაკებები

ბეირუთი. (საკდესი). როგორც ადგილობრივი რადიო იუწყება, გასული ღამის განმავლობაში შეიარაღებული შეტაკებები გრძელდებოდა ქალაქის მთელ რიგ რაიონებში. დღეს დილით სროლა განახლდა. ბეირუთში შესასვლელები უწონდებებულად ბლოკირებულია შეიარაღებული პირების მიერ. გუშინ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შეტაკებები გრძელდებოდა სოფელ ქაბის რაიონში. რადიოს ცნობით, იქ ბევრია დახოცილი და დაჭრილი.

ლიბანის პრემიერ-მინისტრი რ. კარამე დღეს დილით ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა დამასკოში, სადაც სირიის პრეზიდენტთან ჰ. ასადთან გამართავს მოლაპარაკებას ლიბანის კრიზისის საკითხზე.

დამასკო. (საკდესი). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა იქ თავისი თავმჯდომარის ი. არაფატის ხელმძღვანელობით საგანგებო სხდომა გამართა ლიბანში შექმნილი სერიოზული ვითარებისა და მთლიანად არაბულ სამყაროში არსებული მდგომარეობის განსახილველად. როგორც პალესტინის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება კვლავ ადეკვნოს თვალყური ლიბანში მოვლენათა შემდგომ განვითარებას.

სურათზე: ბეირუთისა და მისი გარეუბნების ბევრი ქუჩა ხელისუფლების მიერ გამოცხადებულია „მოძრაობისათვის საშიშად“. შინაგანი უშიშროების ძალებმა, რომლებიც გაძლიერებული არიან არმიის პატრულებით, პოსტები მოაწყეს განსაკუთრებით ცხარე შეტაკების ადგილებში და დაიწყეს ბარიკადების აღება ქალაქის ქუჩებში.

იუპი-სპუტნიკის ფოტო.

პრემია ანტისაგზაოურობისათვის

პარიზი. 10 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ ნორვეგიის კომიტეტის მიერ ა. სახაროვისათვის ნობელის პრემიის მინიჭება „უეჭველია, პოლიტიკური ეტაპია, რომელიც მოწმობს აშკარა მისწრაფებას გაავივონ ანტისაბჭოური კამპანია და შეაფერხონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი“.

სახაროვმა, აღნიშნავს გაზეთი, 70-იან წლებში ნებაყოფლობით ძირითადად შეწყვიტა თავისი მეცნიერული კვლევა და უმთავრესად საბჭოთა წყობილებისადმი მტრული „მანიფესტების“ შედგენასა და გავრცელებას უნდება.

1973 წელს, წერს გაზეთი, მან მხარი დაუჭირა ამერიკელ სენატორს ჯექსონს, რომელიც ცნობილია თავისი ულტრარეაქციული შეხედულებებით, და ამერიკის კონგრესს მოუწოდა მიეღო კანონი, რომელიც პოლიტიკურ პირობებს წამოაყენებდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობაში დისკრიმინაციული დებულებების გაუქმებისათვის. იმავე წელს, როცა დიქტატორმა პინოჩეტმა დაიწყო რეპრესიების ფართო კამპანია ჩილეში, რომლებმაც ათიათასობით ადამიანი იმსხვერპლა, მან აგრეთვე მხარი დაუჭირა ამ დიქტატორს. სახაროვს, რომელიც დაძაბულობის შენელების წინააღმდეგია, „არაერთგზის მიუმართავს დასავლეთის პრესისა და დასავლეთის მთავრობებისათვის, და უთქვამს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება „საშიშია“, — ხაზს უსვამს გაზეთი.

ვენა. 10 ოქტომბერი. (საკდესი). ავსტრიის გაზეთი „ფოლქსშტიმმ“ სამართლიანად სვამს კითხვას:

„რა' დამოკიდებულება აქვს მშვიდობასთან სახაროვს, ამ დაძაბულობის შენელების მტერს?

არ აძლევენ ვიზას

ცივი ომის პოზიცია კომუნისტთა მიმართ

ნიუ-იორკი, (საკდესი). ამერიკის ხელისუფალნი იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგეს ს. სეგრეს არ აძლევენ შემოსვლის ვიზას. იგი მიწვეულია ნიუ-იორკში საერთაშორისო კონფერენციაზე ამერიკის რომის საელჩოს, რომელსაც ს

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ პირველად ამ ექვსი წლის წინათ გამოქვეყნდა პატარა ცნობა პოლონეთში დაღუპულ 16 წლის ქართველ გოგონა ირინე სხირტლაძეზე, რომელიც ბრძოლებში განსაკუთრებული გმირობის გამოჩენისთვის „მამაცობის ჯვრით“ ყოფილა დაჯილდოებული. იგი დაკრძალულია ვარშავის ცხრილ პოვონსკის სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ გამოჩენილი პოლონელი მოღვაწეები, ომის გმირები.

ირინეს საფლავს აქვს სტელიზებული პარტიზანული ჯვრის ფორმა. ამშვენებს წარწერა: „ირინე სხირტლაძე“ „ირკა“ მსროელი, 16 წლის, დაჯილდოებულია „მამაცობის ჯვრით“, დაღუპა 1944 წლის 14 სექტემბერს“.

ამ ცნობამ „კომუნისტის“ მკითხველებში დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში მოდიოდა მკითხველთა წერილები, მათ აინტერესებდათ შეეტყოთ, ვინ იყო ირინე, როგორ მოხვდა იგი პოლონეთში, რა პირობებში დაიღუპა და სხვ.

ამ მასალების შესაკრებად პოლონეთშიც დავიწყეთ ძებნა. ირინეს ბებიათ ჩვენთან ერთად დაინტერესდნენ პოლონელი ჟურნალისტები. ვარშავის გაზეთ „ექსპრეს ვეჩერნში“ გამოქვეყნდა ცნობა ქართველი გოგონას მახლობლებისა და თანამებრძოლების მოსანახავად.

და აი გამოგვეხმაურა ირინეს თანამებრძოლი მაგისტრი ვესლავ კამპერ-გლიშინსკა, რომელმაც თავისი მოგონება ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა.

როგორც გაიოკვა, ირინე ვარშავის ცნობილი აჯანყების მონაწილეა. იგი იყო ახალგაზრდული, გმირული ბატალიონის „ზონტის“ მეკავშირე და გაიარა მთელი საბრძოლო გზა აჯანყების დაწყებიდან მის თითქმის დასასრულამდე. მონაწილეობა მიიღო არაერთ ბრძოლაში და საბრძოლო დავალების ბრწყინვალე შესრულებისათვის დაჯილდოდა „მამაცობის ჯვრით“. იგი დაიღუპა 1944 წლის 14 სექტემბერს ლუდნის ქუჩაზე.

აი როგორ მოხდა ეს:

ირინემ არ მიატოვა განსაცდელში ჩავარდნილი დაჭრილი პოლონელი პორუჩიკი და მიუხედავად ამ აკრძალ საფრთხისა, გერმანელთა გაფთრებული ცეცხლისა, მიირბინა დაჭრილთან, ცდილობდა გამოეყვანა იგი ცეცხლის ზაზიდან, მაგრამ ფაშისტების ტყვეით მოცელილი იქვე დაეცა.

წერილის დასასრულ კამპერ-გლიშინსკა აღნიშნავდა, რომ მათი აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა ისინი საკანალიზაციო არხებით უკან იხევდნენ, ირინე სხირტლაძის დედასა და მის პატარა დას იგი შეხვდა ბალუცკის ქუჩის თავშესაფარში, — მას შემდეგ ისინი აღარ მინახავს, და არ ვიცი, ცოცხლები გადაურჩნენ ომ ავბედით ქიმს თუ ვერა, წერდა იგი.

შემდეგ პოლონელი მეგობრების, კერძოდ, ცნობილი ქართველი, რომელმაც გადმოგვცა სხირტლაძეების საბუთები, ფოტოსურათები და გვიამბო მათი ოჯახის ისტორია.

არკადი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი ოციან წლებში წასული საქართველოდან, ბევრი უმოგზაურია, ბოლოს პოლონეთში დასახლებულა, სამხედრო ავიაციაში დაუწყია სამსახური, დაოჯახებულა. 1928 წელს მათ შესძენიათ გოგონა, რომლისთვისაც ირინე დაუთქვეიათ.

არკადის თავის რძალთან მიმოწერა 1936 წლამდე ჰქონდა, უგზავნიდა კიდეც ფოტოსურათებს. ანიკო ფიცხელაურმა გადმომცა ორი ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილი იყვნენ არკადი, მისი მეუღლე და ასე შვიდი-რვა წლის ირინე. ამ სურათებთან ერთად გამოგზავნილ წერილში არკადი იწერებოდა, რომ ელოდებოდა შვილს და თუ ვაჟი გაუჩნდებოდა, თავისი ძმის პატივსაცემად გიორგის დაარქმევდა, ხოლო თუ ქალი დაბადებოდა, ქრისტინეს.

შემდეგ პოლონეთიდან წერილები შეწყდა და ანიკომ აღარაფერი იცოდა, რა ბედი ეწვათ მაზლსა და მის ცოლ-შვილს.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ძიების ნაყოფი, რომელიც „კომუნისტის“ მკითხველებსაც ვაუწყეთ. საქართველოში გამოგვეხმაურნენ ლოლოგან იან ბრაუნინ დაზმარებით შევიტყეთ, რომ ირინეს მამა უნდა ყოფილიყო არკადი სხირტლაძე. იგი პოლონეთის ავიაციაში მსახურობდა და დაიღუპა 1939 წლის სექტემბერში, გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ერთ-ერთი ბრძოლის დროს. ამასვე გვწერდა ერთი თბილისელი, ჩვენი გაზეთის მკითხველი.

ამ ახლადმიღებულ ცნობებს ირინეს ვინაობის დასადგენად „კომუნისტის“ მკითხველებს ვაწვდით. ირინეს ბებიმა ბევრი აიღლა. პოტმა ჯანსაღ ჩარკვიანმა მის ხსოვნას უძღვნა ორი შესანიშნავი ლექსი — „ირინოლა“ და „გვირილების გზა“. ამჟამად იშვიათია ვარშავაში ჩასული ისეთი ქართველი ტურისტი, რომელიც არ მოინახულებს ირინეს საფლავს და თავს არ დახრის ამ გოგონას ნეშტის წინაშე.

„კომუნისტში“ მეოთხე წერილის გამოქვეყნების შემდეგ გამოგეხმაურა არკადი სხირტლაძის ძმის მეუღლე ანიკო ფიცხელაური, ორკეფილ ზიმაშვილები, მისი მშობლიურ სოფელ მრავალძალის (ონის რაიონი) მცხოვრებნი. ამ სოფლის აქტივისტებს გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ თეგზის მოსაგონებელი ტბა, რომელსაც ირინე სხირტლაძის უკვდავსაყოფად „ირინეს ტბას“ დაარქმევენ.

პოლონეთში კვლავ ვაგრძელებდით ირინეს დედისა და დის ძებნას. გადიოდა დრო, იმედს არ კარგავდით, რომ იქნებ ირინეს და მაინც გვეპოვნა. ჩვენი თხოვნით პოლონეთის გაზეთ „ვეტ“-ტიგოდნიკ კატოლიკუვის“ 1973 წლის 18 მაისის ნომერში გამოქვეყნდა პატარა წერილი ასეთი შინაარსით: თუ ვინმე იცობდა პოლონეთის ავიაციის კაპიტნის არკადი სხირტლაძის მეუღლესა და მის ქალიშვილს, რედაქციისათვის ეცნობებინათ. წერილში მოთხრობილი იყო, თუ რა დიდ პატივს სცემენ არკადი სხირტლაძის შვილს, გმირი გოგონას ირინეს ხსოვნას საქართველოში. აქვე დაიბეჭდა სურათი, რომელზეც ანანა სხირტლაძის რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილს, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენდამი უსაზღვრო მადლობით ირის გამსჭვალული. იგი მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო მისი გოგონას უკვდავყოფაში, მათ მოძებნაში.

„რაც შეეხება ჩვენი ოჯახის ისტორიას, მოკლედ მოგახსენებთ, — გვწერს იგი, — არკადი იყო ძალიან კეთილშობილი ადამიანი, ჭვრეტასი მეუღლე და მამა, ის მწვავედ განიცდიდა სამშობლოდან დაშორებას და ოცნებობდა საქართველოში დაბრუნებაზე. ძალიან ბევრს გვიყვებოდა თავის მშობლიურ ქვეყანაზე. გვასწავლიდა ქართულ ენას. მე თითქმის ქართული წერაც მასწავლა, გვიყვებოდა საქართველოს ისტორიას, გვაცნობდა მის კულტურას. არკადის ნატვრა იყო ჩვენ გვენახა საქართველო, მაგრამ მეუღლის დაკარგვის შემდეგ საქართველოს ნახვა აუხდენელი ოცნებად დარჩა.

და ახლა, როცა საქართველოში მიწვევენ არკადის ბიძაშვილები, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ამ მოწვევას სიამოვნებით ვიღებ.

ირინე ბავშვობიდანვე იყო სერიოზული, ჩუქანი გოგონა, ძალიან საქმიანი და გაბედული. უღრესად კეთილი, დამჯერი. ჩვენი მოსაყვარული. იგი ყოველთვის დიდი სიამოვნებით უსმენდა ხოლმე მამის მონათხრობს სამშობლოზე და ისიც მამასავით ნატრობდა საქართველოს ნახვას. ირინე მამის დახმარებით სწავლობდა ქართულ ენას, ის ისე იყო მონდომებული შეესწავლა ქართული, რომ გერმანელთა ოკუპაციის პერიოდშიც დაიიდა ქართულის შემსწავლელ წრეში.

ირინეზე ძალიან იმოქმედა მამის დაღუპვის ცნობამ. ის ფაშისტების მიმართ შურისძიების გრძნობით განიმსჭვალა და როგორც კი ვარშავაში აჯანყებამ იფეთქა, ირინეც თავის ამხანაგებთან ერთად ამ აჯანყებაში ჩაება. იმ სისხლიან დღეებში ფაშისტების წინააღმდეგ ყველა ვიბრძოდით — დიდებიც და პატარებიც, ქალებიც და ბავშვებიც.

ჩვენ მეტად მძიმე დღეები გადავიტანეთ, მაპატიეთ, რომთვის ძნელია იმ დღეთა გახსენება...

ირინეს დაღუპვის შესახებ კი თქვენ თვითონ იცით.

ომის შემდეგ ბევრი გაჭირვება გადავიტანე. ერთადერთი ჩემი პატარა გოგონა ქრისტინეა შემომრჩა, რომელიც ახლა უკვე 39 წლისაა. ისიც ვროცლავში ცხოვრობს, გათხოვილია, ჰყავს ორი ვაჟი. მისი მეუღლეც შესანიშნავი ადამიანია, მისი გვარია ტუმკოსკი.

ქრისტინა შემნახველ სალაროში მუშაობს“.

ანანა ირინეს სურათთან ერთად გვიგზავნის ქრისტინას ფოტოსურათსაც და აღნიშნავს, ქრისტინა გარეგნობით ძალიან ჰგავს თავის მამას და ნამდვილი ქართველის სახე აქვსო.

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ ზემოდან — ირინე სხირტლაძე (გადაღებულია 1944 წელს). ქვემოთ — ქრისტინა სხირტლაძე.

ᲕᲘᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲘᲠᲘᲜᲔ ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔᲡ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲒᲛᲘᲠᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘᲐ

რძოლო გზა აჯანყების დაწყებიდან მის თითქმის დასასრულამდე. მონაწილეობა მიიღო არაერთ ბრძოლაში და საბრძოლო დავალების ბრწყინვალე შესრულებისათვის დაჯილდოდა „მამაცობის ჯვრით“. იგი დაიღუპა 1944 წლის 14 სექტემბერს ლუდნის ქუჩაზე.

აი როგორ მოხდა ეს:

ირინემ არ მიატოვა განსაცდელში ჩავარდნილი დაჭრილი პოლონელი პორუჩიკი და მიუხედავად ამ აკრძალ საფრთხისა, გერმანელთა გაფთრებული ცეცხლისა, მიირბინა დაჭრილთან, ცდილობდა გამოეყვანა იგი ცეცხლის ზაზიდან, მაგრამ ფაშისტების ტყვეით მოცელილი იქვე დაეცა.

წერილის დასასრულ კამპერ-გლიშინსკა აღნიშნავდა, რომ მათი აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა ისინი საკანალიზაციო არხებით უკან იხევდნენ, ირინე სხირტლაძის დედასა და მის პატარა დას იგი შეხვდა ბალუცკის ქუჩის თავშესაფარში, — მას შემდეგ ისინი აღარ მინახავს, და არ ვიცი, ცოცხლები გადაურჩნენ იმ ავბედით ქიმს თუ ვერა, წერდა იგი.

შემდეგ პოლონელი მეგობრების, კერძოდ, ცნობილი ქართველოლოგ იან ბრაუნინ დახმარებით შევიტყეთ, რომ ირინეს მამა უნდა ყოფილიყო არკადი სხირტლაძე. იგი პოლონეთის ავიაციაში მსახურობდა და დაიღუპა 1939 წლის სექტემბერში, გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ერთ-ერთი ბრძოლის დროს. ამასვე გვწერდა ერთი თბილისელი, ჩვენი გაზეთის მკითხველი.

ამ ახლადმიღებულ ცნობებს ირინეს ვინაობის დასადგენად „კომუნისტის“ მკითხველებს ვაწვდით. ირინეს ბებიმა ბევრი აიღლა. პოტმა ჯანსაღ ჩარკვიანმა მის ხსოვნას უძღვნა ორი შესანიშნავი ლექსი — „ირინოლა“ და „გვირილების გზა“. ამჟამად იშვიათია ვარშავაში ჩასული ისეთი ქართველი ტურისტი, რომელიც არ მოინახულებს ირინეს საფლავს და თავს არ დახრის ამ გოგონას ნეშტის წინაშე.

„კომუნისტში“ მეოთხე წერილის გამოქვეყნების შემდეგ გამოგეხმაურა არკადი სხირტლაძის ძმის მეუღლე ანიკო ფიცხელაური, ორკეფილ ზიმაშვილები, მისი მშობლიურ სოფელ მრავალძალის (ონის რაიონი) მცხოვრებნი. ამ სოფლის აქტივისტებს გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ თეგზის მოსაგონებელი ტბა, რომელსაც ირინე სხირტლაძის უკვდავსაყოფად „ირინეს ტბას“ დაარქმევენ.

პოლონეთში კვლავ ვაგრძელებდით ირინეს დედისა და დის ძებნას. გადიოდა დრო, იმედს არ კარგავდით, რომ იქნებ ირინეს და მაინც გვეპოვნა. ჩვენი თხოვნით პოლონეთის გაზეთ „ვეტ“-ტიგოდნიკ კატოლიკუვის“ 1973 წლის 18 მაისის ნომერში გამოქვეყნდა პატარა წერილი ასეთი შინაარსით: თუ ვინმე იცობდა პოლონეთის ავიაციის კაპიტნის არკადი სხირტლაძის მეუღლესა და მის ქალიშვილს, რედაქციისათვის ეცნობებინათ. წერილში მოთხრობილი იყო, თუ რა დიდ პატივს სცემენ არკადი სხირტლაძის შვილის, გმირი გოგონას ირინეს ხსოვნას საქართველოში. აქვე დაიბეჭდა სურათი, რომელზეც ანანა სხირტლაძის რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილს, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენდამი უსაზღვრო მადლობით ირის გამსჭვალული. იგი მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო მისი გოგონას უკვდავყოფაში, მათ მოძებნაში.

„რაც შეეხება ჩვენი ოჯახის ისტორიას, მოკლედ მოგახსენებთ, — გვწერს იგი, — არკადი იყო ძალიან კეთილშობილი ადამიანი, ჭვრეტასი მეუღლე და მამა, ის მწვავედ განიცდიდა სამშობლოდან დაშორებას და ოცნებობდა საქართველოში დაბრუნებაზე. ძალიან ბევრს გვიყვებოდა თავის მშობლიურ ქვეყანაზე. გვასწავლიდა ქართულ ენას. მე თითქმის ქართული წერაც მასწავლა, გვიყვებოდა საქართველოს ისტორიას, გვაცნობდა მის კულტურას. არკადის ნატვრა იყო ჩვენ გვენახა საქართველო, მაგრამ მეუღლის დაკარგვის შემდეგ საქართველოს ნახვა აუხდენელი ოცნებად დარჩა.

და ახლა, როცა საქართველოში მიწვევენ არკადის ბიძაშვილები, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ამ მოწვევას სიამოვნებით ვიღებ.

ირინე ბავშვობიდანვე იყო სერიოზული, ჩუქანი გოგონა, ძალიან საქმიანი და გაბედული. უღრესად კეთილი, დამჯერი. ჩვენი მოსაყვარული. იგი ყოველთვის დიდი სიამოვნებით უსმენდა ხოლმე მამის მონათხრობს სამშობლოზე და ისიც მამასავით ნატრობდა საქართველოს ნახვას. ირინე მამის დახმარებით სწავლობდა ქართულ ენას, ის ისე იყო მონდომებული შეესწავლა ქართული, რომ გერმანელთა ოკუპაციის პერიოდშიც დაიიდა ქართულის შემსწავლელ წრეში.

ირინეზე ძალიან იმოქმედა მამის დაღუპვის ცნობამ. ის ფაშისტების მიმართ შურისძიების გრძნობით განიმსჭვალა და როგორც კი ვარშავაში აჯანყებამ იფეთქა, ირინეც თავის ამხანაგებთან ერთად ამ აჯანყებაში ჩაება. იმ სისხლიან დღეებში ფაშისტების წინააღმდეგ ყველა ვიბრძოდით — დიდებიც და პატარებიც, ქალებიც და ბავშვებიც.

ჩვენ მეტად მძიმე დღეები გადავიტანეთ, მაპატიეთ, რომთვის ძნელია იმ დღეთა გახსენება...

ირინეს დაღუპვის შესახებ კი თქვენ თვითონ იცით.

ომის შემდეგ ბევრი გაჭირვება გადავიტანე. ერთადერთი ჩემი პატარა გოგონა ქრისტინეა შემომრჩა, რომელიც ახლა უკვე 39 წლისაა. ისიც ვროცლავში ცხოვრობს, გათხოვილია, ჰყავს ორი ვაჟი. მისი მეუღლეც შესანიშნავი ადამიანია, მისი გვარია ტუმკოსკი.

ქრისტინა შემნახველ სალაროში მუშაობს“.

ანანა ირინეს სურათთან ერთად გვიგზავნის ქრისტინას ფოტოსურათსაც და აღნიშნავს, ქრისტინა გარეგნობით ძალიან ჰგავს თავის მამას და ნამდვილი ქართველის სახე აქვსო.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: 3.000-მეტრიან დისტანციაზე არიან საშუალო ასაკის ფიზ კულტურელები.

ფ. გელაშვილის ფოტო.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ, 10 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ. თ. ჯიბუტი). გაიმართა ჭადრაკში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილსა და ტიტულის პრეტენდენტს ნანა ალექსანდრიას შორის ქალთა მსოფლიოს პირველობის მატჩის მოსამზადებელი და მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს შეჯიბრების მოწყობის აღგილის საბოლოო განსაზღვრის, მონაწილეთა მიღების, მსაჯთა კოლეგიის, საზღვარგარეთელი და საბჭოთა ჟურნალისტების, მრავალი სტუმრის დაპატიჟების საკითხები.

სხდომა განსახილველ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაკაძემ, სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სსრ ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ა. ნიკვაძე, გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი მ. კაკაბაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ე. კაპბა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ზ. ავიობა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ბ. ბოჭორიშვილი, აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ნ. ჯალაღონია, საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. გავა, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ თამაშობათა განყოფილების გამგე გ. გაჩეჩილაძე, თბილისის ჭადრაკის სასახლის დირექტორი ლ. წეროძე, კურორტ ბიჭვინთის პანსიონებთა გაერთიანების დირექტორი ა. ბასილაია, სანატორიუმ „თბილისის“ დირექტორი თ. თოფურია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. გუბაზი, აფხაზეთის სპორტული ორგანიზაციების, კურორტების გაგრისა და ბიჭვინთის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის პასუხისმგებელი მუშაკები.

ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე შეჯიბრების პირველი ნახევრის მოწყობის ადგილად არჩეულია ბიჭვინთა. კომფორტული კურორტის ბიჭვინთის ამ არქიტექტურული შენობის მყუდრო, ლამაზი მაყურებელთა დარბაზი სულ ცოტა შეიდას კაცს იტევს. აქვე განსაზღვრა ადგილები პრეს-ცენტრისა და მატჩის მთავარი არბიტრისათვის.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი, მეათხუთმეტე ტური, რომელიც გუშინ გაიმართა თბილისში, ძალზე მძაფრი გამოდგა.

ნორჩი ოსტატობის კანდიდატი ოთსელიანი დამარცხდა ვამოცდილ ოსტატ მულენკოსთან და შეჯიბრება 10 ქულით დამთავრა. ლიდერების დანარჩენი პარტიები გადაიდო. კახაბრიშვილი, რომელიც ნინებულად თამაშობდა შეჯიბრების მეორე ნახევარში, ლაზიერითა და ეტლით შეიჭრა პიპვოდას ფიგურების განლაგებაში — მოსკოველ მოჭადრაკეს დამარცხება ემუქრება. ერთიერთულ ლიდერ კულაკოვს ერთხანს უსიამოვნო პოზიცია ჰქონდა ზაიცევასთან, მაგრამ ახალგაზრდა მოსკოველმა არაზუსტად ითამაშა. პარტია გადაიდო ოთხულ მდგომარეობაში. კულაკოვს ზედმეტი პაიკი აქვს.

ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ტურის პარტიებიდან ფრუნზეში ძალიან საინტერესო გამოდგა ოსტატ გრინფელდის (ალინინგრადი) შეხვედრა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გურიელთან. 14 წლის ნინო მშვენიერად თამაშობდა. გადადებულ პოზიციაში მას ეტლი და ოთხი პაიკი აქვს მეტოქის ორი მსუბუქი ფიგურის წინააღმდეგ. გრინფელდს გარდუვალი დამარცხება ემუქრება.

5 ტურის შემდეგ წინ არის ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი შჩერბინა (სევასტოპოლი) — 4 ქულა. 3,5 ქულა მოაგროვეს ოსტატმა ახმილოვსკაიამ (ყირიმი) და ოსტატობის კანდიდატმა ფომინამ (ტალინი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲐ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 26-ე ტურის ხუთი შეხვედრა გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

აი მოსაპარეზე წყვილები: **„ჩერნომორეცი“ — სკა, „არარატი“ — „კარპატი“, „ზარია“ — „შახტიორი“, „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“, „პახტაკორი“ — „დინამო“ თბ.**

ტაშკენტის მატჩის მეორე ნახევარი ტრანსლირებული იქნება საქართველოს რადიოთი 16 საათზე თბილისის დროით.

შეგახსენებთ, რომ ქართველ და უზბეკ ფეხბურთელთა პირველი წრის მატჩი თბილისში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამ ტურის შეხვედრა: „ზენიტი“ — ცსკა გადატანილია 5 ნოემბრისათვის.

ᲝᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ

ᲕᲘᲓᲐᲛᲑᲐ. ზაპოროჟიეში დამთავრებულ სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში წარმატებით გამოვიდნენ ქართველი მოჭიდავეები. მეორე საუფალო წონაში უძლიერესი იყო თამაზ კიკნაძე, ხოლო ქვემძიმე წონაში — ელდარ ფარჯანაძე. ჩვენმა მესამე მოჭიდავემ ნიკოლოზ მირაქვომა (მძიმე წონა) მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. საინტერესოა, რომ სამივე მოჭიდავეს ავარჯიშებს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ბარბაქაძე.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲥᲣᲚᲐ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ქუთაისის „ტორპედო“ მასპინძლობდა გუშინ ზაპოროჟიეს „მეტალურგს“. მატჩი, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი, ქუთაისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ბურთი თამაშის მე-10 წუთზე გაიტანა შენგელიამ. 23-ე წუთზე შელიამ ორამდე გაზარდა ანგარიში, მაგრამ იმავე წუთს კაშჩენმ წარმატებით დაადგინა სტუმრების სწრაფი კონტრშეტევა — 2:1. შესვენებამდე ორი წუთით ადრე შენგელიამ კვლავ იღო მეკარე გუძის კარი — 3:1. ეს შენგელიას მე-12 ბურთია მიმდინარე ჩემპიონატში.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა უკლეს ტემპს, თამაში გათანაბრდა, მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს (ჯობნელიძე, კაშჩენი) და მსაჯმა აღნიშნა ქუთაისელთა კიდევ ერთი გამარჯვება ანგარიშით 4:2.

ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: გაბელია, კოსტავა, ხურცილავა, სულაქვაელიძე, (ფარულავა), ჯობნელიძე, ქვირია, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შენგელია, ხერხაძე, შელია (გაბიჩვაძე).

ქუთაისელებს ჩასატარებელი დარჩათ ოთხი მატჩი: 17 და 21 ოქტომბერს კემეროვოში „კუზბასთან“ და სვერდლოვსკში „ურალმაშთან“, ხოლო 28 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს თავის მოედანზე სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ და ხარკოვის „მეტალისტთან“.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲜᲝᲑᲐ

Ჯ. ᲚᲝᲡᲐᲒᲔᲠᲘᲫᲔ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ მონცეში გაიმართა საერთაშორისო პოპულარული ტურნირი „ამბროზიანო“, რომელშიც 200-მდე მშვილდოსანი გამოვიდა.

კარგად ისპარეზა **თბილისელმა სპორტსმენმა, ევროპის 1972 წლის ჩემპიონმა ქეთევან ლოსაბერიძემ, რომელმაც აბსოლუტური პირველობა მოიპოვა — 1.288 ქულა.** მეორე ადგილზეა მსოფლიოს ჩემპიონი ზებინინო რუსტამოვა — 1.226 ქულა, მესამეზე — ნაურების დებიუტანტი ელენე კოვალენკო — 1.191 ქულა. საინტერესოა, რომ ზ. რუსტამოვამ 50-მეტრიან დისტანციაზე სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 316 ქულა.

ვაუთა შორის უძლიერესნი იყვნენ იტალიელები სიმონ სპიგარელი (1.249 ქულა) და ანტონიო ბელონი (1.229 ქულა). საბჭოთა მსროლელი გიქტორ სადორუკი მესამე ადგილზეა — 1.219 ქულა.

□

ᲛᲨᲗ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ სამ დღეს მასპინძლობდა თითქმის ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის გათამაშების ფინალურ ტურნირში სასპარეზოდ შეგროვდნენ.

შეჯიბრება, რომელიც საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სპორტკომიტეტთან ერთად ჩაატარა მუშების, სოსამსახურეების, კოლმეურნეების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ნამდვილ ფიზკულტურულ დღესასწაულად გადაიქცა, რომლის ფინალში 400-ზე მეტი კაცი გამოდიოდა.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲭᲝᲠᲘᲙᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲒᲕᲔ ᲒᲐᲔᲑᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲘᲐᲜᲗ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲮᲔᲖᲔ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ რაიონის სახალხო სასამართლოში ცილისმწამებელთა საქმე ირჩეოდა. საბრალდებო სკამზე იჯდა ორი მანდილოსანი. ერთ-ერთი მათგანი სამართალში მიეცმული ლიდა ბრიგიზლის ასული ᲗᲐᲚᲘᲪᲘᲜ 1955 წლიდან მუშაობდა საქვაჭრობის თელავის განყოფილების სავაჭრო ქსელში გამყიდველად, ხოლო ბოლო წლებში გამგე-გამყიდველის თანამდებობა ეკავა. 1974 წლის იანვარში მომხმარებლის ანგარიშში მოტყუებისათვის განყოფილების მაშინდელი მმართველის ა. ლუარსაბიშვილის ბრძანებით მოსხსნეს თანამდებობიდან, მაგრამ შემდეგ „შეიბრალეს“ და იმავე წლის 24 აპრილს კვლავ გამყიდველად დანიშნეს.

ლ. ვალიციკის გამყიდველის თანამდებობა კი უბოძეს, მაგრამ მისი გული მაინც ვერ მოიგეს. ხშირად ბუზღუნებდა: განა რა დავაშავე ისეთი, რომ გამგის თანამდებობა აღარ გაიმეტეს, დიდი ამბავი, თუ ვიღაც ათიოდე კაპიკში მოვატყუეო. და განაწყენებული ვ. ვალიციკი შურისძიების გრძნობით განიმსჭვალა სავაჭრობის განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკებისადმი, ცილისმწამებლური საჩივრების წერას მიჰყო ხელი.

სამართალში მიცემული მეორე მანდილოსანი ᲥᲣᲜᲘᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲯᲔᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ დიდხანს მუშაობდა საქვაჭრობის ამავე განყოფილების საზოგადოებრივი კვების ბუფეტის თანამდებობაზე. ბოლო წლებში მას პირადი უთანხმოება ჰქონდა საზოგადოებრივი კვების უფროსთან ბ. დათიშვილთან, რასაც სისტემატურად ამეჟღვნებდა და რაც ცნობილი იყო თანამშრომლებისათვისაც. ბოლოს, როცა უფროსს ვერაფერი დაკლო, თავისი განცხადებით განთავისუფლდა და სხვა ორგანიზაციაში კვლავ ბუღალტრად დაიწყო მუშაობა.

ჭ. ჯეირანაშვილი საქვაჭრობის სისტემიდან კი წავიდა, მაგრამ თან გაიყოლა განყოფილების ხელმძღვანელებისადმი მტრობა და ანგარიშის გასწორების სურვილი.

სულმა სული იცნო — ნათქვამია, და ამ ორმა განაწყენებულმა პიროვნებამაც მალე იცნო ერთმანეთი. დამეგობრდნენ და ჭორების ქსელის ხლართვას შეუდგნენ.

გადაწყვეტეს დაეწერათ ანონიმური წერილი საქვაჭრობის განყოფილების ხელმძღვანელებსა და მათს „მფარველებზე“.

ლ. ვალიციკის ქართულად ლაპარაკი კარგად შეეძლო, მაგრამ ქართული წერა-კითხვა არ იცოდა, ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ქ. ჯეირანაშვილი ქართულად დაწერდა წერილს, მორიგი შეხვედრის დროს ლ. ვალიციკის უკარნახებდა და ის კი რუსული ასოებით ჩაიწერდა ტექსტს, რასაც შემდეგ გადათარგმნიდა რუსულად და გაგზავნიდა ზემდგომ პარტ